მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №27

2022 წლის 16 მარტი

ქ. მარტვილი

მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის თანახმად:

1. გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ „მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის“ 2021 წლის 22 ნოემბრის 45/36 ანგარიშში მოყვანილი ფაქტები და აუდიტის სამსახურის მიერ გამოთქმული შენიშვნები მუნიციპალიტეტში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებისას და შემდგომ მათ საქმიანობაში.
2. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა